საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გაზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2521
13/06/2022

2521-21-2-202206131445

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ლეილა ფოლადაშვილს
ასლი: ა(ა) „მწავნე ალტერნატივა"-ს
მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის N39ბ, მე-4 სართული

ქალბატონო ლეილა,
წარმოგიდგენთ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაგებელს თქვენს წარმოებაში არსებულ N3/3212-22 (N330310022005779009) ადმინისტრაციულ საქმეზე, ა(ა)იპ „მწავნე ალტერნატივა"-ს სარჩელთან დაკავშირებით.

დანართი: ორ ეგზემპლიარად,
სულ: 2 ცალი CD დისკი,
შესაგებელი თანდართული დოკუმენტაციით 22 (ოცდაორი) ფურცელი.

პატივისცემით,

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

თბილისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
15.06.22
5889360

შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შეტანის ადგილი

საქმე №3/3212-22

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ლეილა ფოლადაშვილი
მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დ. აღმაშენებლის გამზ. N150

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

ნინო სამადაშვილი

591208875

სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 აპრილის N 21/1283 წერილით, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს, წერილობით აცნობა ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის სატყეო უბნების ტერიტორიაზე (104 712 ჰა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გამოცხადებული აუქციონის და მისი შედეგების შესახებ.
მტკიცებულება:
ა. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 აპრილის N21/1283 წერილი
(დანართი: თან ერთვის სარჩელს)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☒ რის საფუძველზე? საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის

არა ☐ „ა პრიმა" პუნქტის საფუძველზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მასალები სრულად შეიცავს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, აღარ არსებობს დავის საგანი.

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს მოთხოვნა - გაუქმდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 აპრილის N21/1283 წერილი (გადაწყვეტილება) არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ-სამარათლებრივი აქტის გაუქმებას არ იცნობს, ხოლო თუ მოსარჩელე გაუქმებაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას გულისხმობს, ამავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის პირველი ნაწილით: ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ხოლო, 53-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად კი: წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, სახეზე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი კანონდარღვევით მიღებული გადაწყვეტილება, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა ამ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. სადავო შემთხვევაში მოსარჩელე ვერ უთითებს სადავო გადაწყვეტილებაში რომელი ნორმა გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ არასწორად, როცა მას ეცნობა მოთხოვნილ ინფორმაციასთან და იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც მოიცავდა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და კომპეტენციის ფარგლებში დეტალურად განემარტა აუქციონის გამოცხადები ის პროცედურები, რაც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ კანონის საფუძველზე და კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა. სხვა პროცედურები და ინფორმაცია, გარდა იმისა, რასაც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გასაჩივრებული წერილი (გადაწყვეტილება) ითვალისწინებს, სააგენტოში დაცული არ არის. აღსანიშნავია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის N21/1283 წერილით განმცხადებელს ეცნობა, მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N134 განკარგულების საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით 2022 წლის 11 მარტს გამართულ აუქციონში გამარჯვებულად დაფიქსირდა შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა" (ს/კ 405352363), ასევე იმის თაობაზე, რომ სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 10 თებერვლის N17/ს ბრძანების შესაბამისად, მიმდინარე წლის 10 თებერვალს გამოცხადდა საჯარო აუქციონი მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. აუქციონზე რეგისტრაციის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, სააგენტოს მიერ პრესაში (საქართველოს რესპუბლიკა) გამოქვეყნებული იქნა საჯარო განცხადება, რომელიც სრულად შეიცავდა ინფორმაციას აუქციონის გამოცხადებისა და სალიცენზიო პირობების შესახებ. აღნიშნულ აუქციონზე მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, შესაბამისად ლიცენზიის გაცემა განხორციელდა გამარჯვებულ პრეტენდენტზე. აუქციონში გამარჯვებულმა სრულად გადაიხადა აუქციონზე დაფიქსირებული თანხა და მიმდინარე წლის 23 მარტს მასზე გაიცა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია.

არსებითად მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს ის გარემოებაც, რომ როგორც მოსარჩელე, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირი არ იზღუდება უფლებაში, მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის დაზუსტების ან განმარტების მიზნით. სადავო შემთხვევაშიც იმ პირობებში, როცა მოსარჩელეს განემარტა მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით და თუ ის თვლიდა, რომ ეს ინფორმაცია არ მოიცავდა იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელიც შედიოდა მისი ინტერესის სფეროში, უფლება ჰქონდა მოეთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსაგან დაზუსტება ან/და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. მით უმეტეს, როცა სადავო წერილში გათვალისწინებულია ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებისა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მზად იყო კანონით დადგენილი წესით მოსარჩელისათვის, დაზუსტებული მოთხოვნის შემთხვევაში, წარედგინა ყველა სხვა საჯარო ინფორმაცია.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ უკანონო აქტით ზიანი მიადგეს დაინტერესებული პირის ინტერესს. ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება თავისთავად უნდა განაპირობებდეს ამა თუ იმ მხარის, ამ შემთხვევაში მოსარჩელის უფლების შეზღუდვას ან დარევას, რასაც სადაო შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ვინაიდან, სსიპ გარემოს

ეროვნულ სააგენტოს არ დაურღვევია კანონი და ასევე, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის წლის N21/1283 წერილი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით არ წარმოადგენს მოპასუხისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას. არამედ, ეს წერილი ატარებს ინფორმაციულ ხასიათს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის სატყეო უბნების ტერიტორიაზე (104 712 ჰა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გამოცხადებული აუქციონის, მისი შედეგების და პირობების შესახებ. შესაბამისად, მოპასუხე მხარის ინტერესისადმის ზიანის მიყენების ფაქტი სახეზე არ არის, მან მიიღო ინფორმაცია მოთხოვნილ საკითხთან, მათ შორის აუქციონის გამოცხადების პროცედურებთან დაკავშირებით, რაც თავისთავად გამორიცხავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სააგენტოს გასაჩივრებული წერილის/გადაწყვეტილების) ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებს.

ამასთან, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წინამდებარე შესაგებელთან ერთად, სასამართლოს წარუდგენს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის სატყეო უბნების ტერიტორიაზე (104 712 ჰა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გამოცხადებული აუქციონის, მისი შედეგების და პირობების შესახებ სააგენტოში დაცულ წერილობით დოკუმენტაციას, მათ შორის მოსარჩელისათვის გასაგზავნ ეგზემპლიარებსაც, რაც ასევე გამორიცხავს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემა. ვინაიდან, მისი ინტერესი კიდევ ერთხელ დაკმაყოფილდება და მიიღებს იგივე ინფორმაციას, რაც მას ეცნობა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გასაჩივრებული წერილით. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საკითხთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ არის დაცული.

მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან სასამართლოში ადმინისტრაციული მასალების წარმოდგენით, სრულად დაკმაყოფილდება მოსარჩელის ინტერესი, რაც გამორიცხავს დავის საგნის არსებობას.

ყოველივე ზომოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპილის N21/1283 წერილის ბათილობა არ განაპირობებს, რაიმე სხვა სახის სამართლებრივი შედეგის დადგომას და ასევე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შემთხვევაშიც, მოსარჩელეს ეცნობება/გადაეცემა ის ინფორმაცია რაც უკვე ეცნობა და ასევე წარმოდგენილია სასამართლოში.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის არსებითად განხილვის შემთხვევაში გთხოვთ, უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?
დიახ ☐ რის საფუძველზე?
არა ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?
დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან აღარ არსებობს დავის საგანი

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი N1: მინდობილობა - 2 (ორი) ფურცელი;
დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები - 1 (ერთი) CD დისკი
ფურცლების საერთო რაოდენობა: 11 (თერთმეტი) ფურცელი;

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის ფუნქციების დროებით
შემსრულებელი - თეიმურაზ მთივლიშვილი

09/06/2022 წ.

ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 15/ʒ
17/01/2022

15-21-4-202201171747

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის თანამშრომელთათვის საქართველოს საერთო სასამართლოებში სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „ვ“. „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეებზე, განახორციელონ სააგენტოს თანამშრომლებმა - იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო სამადაშვილმა** (პ/ნ 01020006033), მთავარმა სპეციალისტმა - **დავით გოგიბერიძემ** (პ/ნ 01024015389), **ირაკლი კობახიძემ** (პ/ნ 01024064300) **მარიკა კვიტიამ** (01013014862). წარმომადგენლებს უფლება აქვთ, შეასრულონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრის, არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემის, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, სარჩელის ცნობის, სარჩელის საგნის შეცვლის, მორიგების, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, სააღსრულებლო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღების უფლებამოსილებისა;
2. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის სისტემური მართვისა და ადამიანური რესურსების მართვის (HR) სამმართველოს გააცნოს ბრძანება დაინტერესებულ პირებს;

3. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 28 იანვრიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6) კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო